

ვებინარი

დაბალტექნოლოგიური, მაღალი ზეგავლენის STEAM:
ინოვაციური STEAM-ის შესახებ „ახალი განათლების კლუბის“
(New Learning Club) მიერ გავლილი გზა და საბოლოო შედეგი

19 ნოემბერი 2024წ. 14:00 – 15:30 (ევროპის დროით - CET)

დისტანციურად

ორგანიზატორი: „ევროპის განათლების ფონდის“ (ETF) ინოვაციური მასწავლებლების საზოგადოება

სარეგისტრაციო ბმული: https://tree.zoom.us/meeting/register/tZlvc-CpqD4uG9fmPyEfi69izNVZe7bKLPj_#/registration

მოკლე ინფორმაცია

STEAM არის კონცეფცია, რომელიც დღევანდელ გამოწვევებზე საპასუხოდ შემუშავდა და, ამავდროულად, იმედით უყურებს მომავალს. STEAM არის მიდგომა სწავლა-სწავლების მიმართ, რომელიც მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიას, ხელოვნებას და მათემატიკას აერთიანებს, რაც შემდეგ მოსწავლეებს შორის კვლევას, დისკუსიას და ამოცანებზე პასუხის მოძიებას უწყობს ხელს. STEAM მიდგომა მოსწავლეებს შესაძლებლობას უქმნის, რომ სხვადასხვა დისციპლინებში არსებული ცნებები და ცოდნა გააერთიანონ, რათა საგანი უფრო ღრმად გაიგონ და რეალურ სამყაროში არსებული პრობლემები დამაჯერებლად გადაჭრან.

2024 წელს ETF-ის „ინოვაციური მასწავლებლების საზოგადოებამ“ ახალი ინიციატივა წამოიწყო: თემატური კლუბები, რომელთაგან ერთ-ერთი „ინოვაციურ STEAM განათლებას“ ეძღვნება. STEAM-ის „ახალი განათლების კლუბი“ 50 ექსპერტი პედაგოგებით დაკომპლექტებულ გუნდს აერთიანებს, რომლებიც გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებაში არიან ჩართულები, მუდმივად ცდილობენ ამოცანების გადაჭრას, მხარს უჭერენ თანამშრომლობას და შემოქმედებითი მიდგომით მუშაობენ.

მომავალი ვებინარის დროს ჩვენი მიზანია:

- STEAM კლუბის წევრების მუშაობის შედეგების წარმოჩენა;

- მნიშვნელოვანი პრაქტიკების გაზიარება;
- განხილვა, თუ როგორ შეიძლება სწავლების მიდგომების გაუმჯობესება, ერთმანეთისგან სწავლის გზით.

დღის წესრიგი

დრო	
14:00 - 14:05	<p>მისალმება და გაცნობა</p> <p>ფაბიო ნაშიმბენი, ადამიანური კაპიტალის განვითარების ექსპერტი, ETF</p>
14.05 – 14.15	<p>STEAM კლუბის ამბავი: ფოკუსი, აქტივობები და მიღებული გაკვეთილები</p> <p>მერაბ ლაბაძე, მედეა აბრამიშვილი</p>
14:15 – 14:35	<p>STEAM მოძრაობა ევროპაში: Scientix და მის მიღმა</p> <p>აგუედა გრას-ველასკესი, მეცნიერების განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, European Schoolnet კითხვა-პასუხი</p>
14:35 – 15:10	<p>დაბალტექნოლოგიური, მაღალი ზეგავლენის STEAM: კლუბის საბოლოო შედეგი</p> <p>რობერტო რიგი, STEPS</p> <p>მზა რესურსები მასწავლებლებისთვის</p> <p><i>3 სლაიდი, თითო 5 წთ.</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჯო დესატერი 2. ჯესიკა ნიევიტ-გორი (https://steamit.eun.org/category/integrated-stem-learning-scenarios) 3. აიდა ბეიკერი (STEAM მიდგომა პალესტინაში) 4. ნინო ჭიპაშვილი 5. სონია ანტუნოვიჩი 6. გიუნელ მუსტაფაევა 7. გიულერ ბაირამოვა
15:10 - 15:30	<p>„ახალი განათლების კლუბის“ მომავალი: იდეები და დისკუსია მოდერატორი</p> <p>ფაბიო ნაშიმბენი</p>